



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება: **ბ14. 142318545**

თარიღი: **04/07/2023**

განცხადების ნომერი: 1423170340-06

განცხადების თარიღი: 19/06/2023

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

- საკადასტრო კოდი :05.32.21.603
- მისამართი :ქალაქი ბათუმი , ქუჩა გიორგი შარვაშიძე , N 39ე

განმცხადებელი-დამკვეთი :ილია კონცელიძე

პირადი ნომერი :61008000094

მისამართი :საქართველო, ქალაქი ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 18ბ

ნომენკლატურა :მშენებლობის ნებართვა საცხოვრებელი ობიექტები / ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი / ქმედება: ახალი მშენებლობა / კლასი: II

სტადიები:

- მშენებლობის ნებართვა

დამკვეთის ინფორმაცია

- ორგანიზაცია (არესობის შემთხვევაში) :შპს "პოლო კონსტრაქშენი"
- საიდენტიფიკაციო კოდი :445502536

შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები

- შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი :14. 142313052
- შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი :2023-05-10 00:00:00.0

მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 92-99 მუხლების; 106-111 მუხლების; „მშენებლობის ნებართვის გაცემის და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. შპს „პოლო კონსტრაქშენ“-ის (ს/კ 445502536) 2023-06-19 განცხადება №1423170340-06 დაკმაყოფილდეს და ქალაქ ბათუმში, გიორგი შარვაშიძის ქ. №39ეში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 14808.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთებზე (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდი №05.32.21.603) ორბინიანი საცხოვრებელი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის (II კლასის შენობა) მიზნით შპს „პოლო კონსტრაქშენ“-ის (ს/კ 445502536) სახელზე გაიცეს მშენებლობის ნებართვა. (2023 წლის 10 მაისის №ბ14. 142313052 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი).

2. მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვროს: 2025 წლის 28 ივნისამდე.

3. „მშენებლობის ნებართვის გაცემის და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად განისაზღვროს მშენებლობის განხორციელების პროცესის სულ მცირე ორი რიგი:

ა) I რიგი - მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები;

ა.ბ) შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;

ბ) II რიგი - მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები:

ბ.ა) შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები;

ბ.ბ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;

ბ.გ) შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან მაქსიმუმ ყოველ 7.0 მეტრ სიმაღლეზე (სართულების შემთხვევაში სართულების ჯერადად) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;

ბ.ვ) შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა;

ბ.ზ) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;

ბ.კ) შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;

4. განემარტოს ნებართვის მფლობელს, რომ მშენებლობის წარმოების დროს მუნიციპალური/სახელმწიფო ქონების დაზიანების შემთხვევაში, დაუყონებლივ უნდა მოახდინონ დაზიანების აღმოფხვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება ჩაითვლება სანებართვო პირობის დარღვევად, რაც გამოიწვევს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

